1922
F270 №574


# ბახტრიონი

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

**განცხადებათა ფასი:** სტრიქონი 20.000

**ხელის მოწერა:** სამი თვით: 200.000 მ

**კონტორა:** პუშკინის პასსაჟი. ტელეფ 8--04 რედაქტორის ნახვა შეიძლება 12—2 ს.

ფასი 10 ათასი.

№ 1 — ორშაბათი 3 ივლისი. — № 1



გამოვიდა
„ცისფერ ყანწების“ პოეტების კვირეული გაზეთი
„ბ ა რ რ ი კ ა დ ი“
რედაქტორი ტიციან ტაბიძე.
ძველი ნომრები იყიდება: ხელოვანთა სასახლე, სერგეევის ქ. № 13.

---

გამოვიდა, რუსულად წიგნი
## ნ. ბარათაშვილი
თარგმანი და რედაქცია ვალერიან გაფრინდაშვილის

---

გამოვიდა და იყიდება
ვასილ ბარნოვის
## ხაზართა სარძლო

---

ყკაკი ფალავას ხელმძღვანელობით დაარსებული
დრამატული სტუდიის
## ლატარია

ვისაც გიყვართ ქართული თეატრი და გწადიათ მისი განახლება და წარმატება ხელი შეუწყეთ ლატარიის ბილეთების შეძენით ერთად-ერთ სასცენო ხელოვნების სკოლას: ზემორე ხსენებულ დარამატიულ სტუდიას.

### ვისაც გინდათ მილიონების მოგება
შეიძინეთ აგრეთვე ჩვენი ლატარიის ბილეთი
თითო ბილეთი ღირს **10.000** მანეთი,

### მოიგებთ

ერთი **25,000,000 მ.** || 3—თითო **5,000,000 მ.**
2—თითო **10,000,000 მ.** || 15—თითო **1,000,000 მ.**

გათამაშება ლატარიისა მოხდება ამა წლის 1-ველ ოქტომბერს რუსთაველის თეატრში (ტფილისში) საგანგებო კომისიის მიერ ქართველ ხელოვანთა მთავ. კომ. თავმჯდ. კ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით. პასუხისმგებელი გამგე ლატარიისა—სტუდიის ხელმძღვ. აკ. **ფალავა**.
**ლატარიის ბილეთები იყიდება სახელმწიფო დრამის თეატრის კასაში.**

---

ALL--RUSSIAN COOPERATIOEE ROCITV, LIMITED
## ARKOS
Lvndon E. C z Sowiet Nouse, 49, Mooraqate Constantinopol, Rue Voivoda, Kapakouy Nan.

## არკოსი
ერთად ერთი კონტრაგენტია რუსულ სავაჭრო დელეგაციისა
**ინგლისში და ოსმალეთში**

მიიღება მთავრობისაგან დაწესებულებათაგან, კოოპერატივებისაგან, ტრესტებისაგან ყოველ მონდობილობანი და კომისიები საექსპორტო საქონელის რეალიზაციისა და სყიდვაში

### წარმომადგენლობა საქართველოში
**ტფილისი**—მადათოვის ქ. № 11 ოთახი № 16 (დროებით)
**ბათუმი**—მარინის ქ. № 49 (დროებით)


## თბილისი, ორშაბათი, 3 ივლისი.

გაზეთი „ბახტრიონი“ არ ეკუთნის არც ერთ მიმართულებას მწერლობაში. გაზეთის მიზანია ობიექტიურად ანგარიში გაუწიოს მხატვრულ ცხოვრებას საქართველოში და გამოაჩინოს ის ნამდვილი სახე, რომელიც უნდა ამართლებდეს ხელოვნებას. შესაძლებელია ყოველი კვირეული გაზეთი ვერ ატვირთავდეს ამ მასალებს რომელსაც დღეს იძლევა მწერლობა, მაგრამ დღევანდელ ტეხნიკურ პირობებში შეუძლებელია უფრო დიდი გამომცემლობის მოწყობა. ეს დაწყებაც თუ შესრულდება და ეს საქმეც თუ გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ თუ საზოგადოება გულწრფელად მოეპყრობა და თავის საქმეთ მიიჩნევს. ქართული წიგნის მდგომარეობა ყოველთვის ასე იყო რომ თუ სხვაგან მწერლობა უზრუნველყოფილი [illegible] მხოლოდ ჰონორარის სუროგატი თუ იქმნებოდა. იმ თავითვე ამიტომ მწერლობა გმირობათ იყო მიჩნეული. გარშემო მომხდარმა კატასტროფიულმა მოვლენათა სვლამ მწერლობას თითქო დაუკარგა პირველი ინტერესი, უკვე დარღვეულია ის ინტიმი, რომელიც უნდა არსებობდეს ნამდვილი შემოქმედებისთვის. მაგრამ ხელოვნება თანდათან ათვინიერებს გააფრთებულ ხალხებს, და აღადგენს თავის წინანდელ ავტორიტეტს. ყველაფერი ერის ცხოვრებაში რაც არ იქნება გამართლებელი ხელოვნებით არის ბალასტი, რომელსაც შემდეგი თაობა დაივიწყებს. ომისა და რევოლიუციების პერიოდმა ხელოვნება მხოლოდ რამდენიმე ხნით დაჩრდილა. ეხლა იწყება გაცხოველებული მუშაობა დაკარგულ დროს ასანაზღაურებლად. რუსეთი, რომელმაც უფრო მწვავეთ განიცადა სამოქალაქო შომი შიგნით და გარეთ ემიგრანტებში გაასკეცებული ბრძვის მწერლობის აღდგენისთვის. უფრო მეტი შრომაა საჭირო და უფრო მეტი თავგანწირვა რომ საქართველოშიც აღსდგეს მწერლობა, რადგან მას არ ჰქონია დიდი ტრადიციები და მომაგრებული საფუძველი, რომ ენერგიით შეეძლოს არსებობა, აქ საჭიროა სისტემა და დიდი ბრძოლა რომ არ შესწყდეს ეროვნული მწერლობის ძარღვი.

ამიტომ ყოველი წიგნი, რომელიც გამოდის საქართველოში მისასალმებელია, მხოლოდ ამან არ უნდა დაგვიშალოს, რომ წიგნს მიუდგეთ. ნამდვილი ესტეტიური საზომით. ხანდისხან ეს კრიტიკა მწვავეც იქნება, რადგან მხოლოდ ამას შეუძლია ჭეშმარიტი მწერლობის დისციპლინა შექმნას. ჩვენ აშკარათ გავკიცხავთ და გავსჭრით იმ ხოსკმეტებს, რომელნიც ეროვნულ შემოქმედებას დააჩნდება, მაგრამ თქმა არ უნდა ეს იქება მხოლოდ მწერლობის სიყვარულისათვის ჩადენილი. ყოველი თავის დამტკიცება უანალიზოთ, თავის დაიმედება უსაფუძლოთ და მეშჩანობაზე დაყრდნობა. რუსის მწერლობას ამიტომ ჩვენ ამას ვამხილებთ პირდაპირ. ამ შემთხვევაში, როგორც ციტადელი ეროვნული შემოქმედების აღებულია ვაჟა ფშაველას „ბახტრიონი“, ეს არის პოზიცია ეროვნული კულტურის და შემოქმედების. რასაკვირველია ჩვენ არ ვიქნებით ამ ციხეში ჩამწყვდეული, ცა გაშლილია „ბახტრიონზე“-ც საიდანაც იხედება ყოველი საკაცობრიო მიღწევა, მაგრამ პირველად მაინც საჭიროა ეროვნულ პოზიციის გამაგრება.

## გამოგონილი საუკუნეები.

„რომანეა და შამბერტენი, კლოდ ვუჟო და კორტონი იწვევდნენ მის წარმოდგენაში საბატოების ზვიად დღესასწაულებს, სათავადო წვეულებებს, ოქრომკედით მოქარგულ ტანთსაცმელთა სიმდიდრეს, დამაბრმავებელ სინათლეზე რომ იწვიან. განსაკუთრებით აბრმავებდა მას კლოდ ვუჟო. მას ეგონა, რომ ამ ღვინის სმა შეეძლოთ მხოლოდ სახელოვან ადამიანებს. ეტიკეტები ბრწყინავდნენ მის თვალთ წინ როგორც სხვივმფენი გვირგვინი უწმინდეს ქალწულის თავის გარშემო.“

ჩვენ საშუალო საუკუნეთა ზვიადი დღესასწაული, მეფის კარის ცხოვრება, გმირთა განთქმა, რაინდობა და სიყვარული პირველყოვლისა, რასაკვირველია, მოცემულია რუსთველის დინამიურ ქმნილებაში, ამ ქართულ ვაგნერიანაში, სადაც ქართულ სიტყვას შოთამ დაადგა ბაირეიტის ორკესტრი:

„მათ ლაშქართა ყოლბსა შუა
ორბი სითმე გადმოფრინდა.
ყმამან ცხენით შეუტია,
გაამაყდა, არ შეშინდა,
შესტყორცა და ჩამოაგდო
დაეცა და სისხლი სდინდა.“

ეს ვერგილიუსის სპილენძია, რომის ჯარის რკინით შესალტულ ფეხის დარტყმაა. აქ მოუხმია შოთას ველური გენია ჰარმონიას აქ არ სჭირდება ალგებრა, ეს მუსიკიური სტიქიონი თვითონ ჰქმნის კონტრაპუნქტს მასში „სიბრძნის დარგის“ ვინმე მესხი—მელექსე ანთებს უნივერსალურ ცეცხლს საქართველოში.

Широко крылых вдохновений
Орлиный дерзостный полет
И в самом буйстве дерзновений
Змейной мудрости расчет.

ამ ამღერებულმა გენიამ, საუკუნეების სტიქიონის ვიზიონარულ სინტეზის შემქმნელმა მისცა ქართულ სულს გრანდიოზულ შესაძლებლობის სტილი. იგი უტყუარი მაჩვენებელია ქართულ იდეის თავის თავადობისა. იგი ჭეშმარიტად რეიმსის ტაძარია, რომ თითქოს კვამლისგან შექმნილი და მარმარილოდ ქცეული ქსოვილები მიქელ-ანჯის ხელით ცად აუტაცნია.

აქ ტიტანიური სტილია, აქ ინტიმიც კი იდუმალ სეროზის სიმაღლეზეა. მაგრამ აქ არ სჩანს ეპოქის interieur-ი, —ის, რაც მოცემულია დეკამერონში და რის შესაძლებლობა ასე აშკარად სჩანს, მაგ., არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს აღწერაში. ლევან დადიანის სამეგრელო, მისი ცხოვრება, დიპლომატია და თითონ ის—ეს ხომ შექსპირის ქრონიკაა. აქ აუცილებელია მომთხრობი, აქ სინამდვილე თითქოს თითონ უხმობს თავის რაბლეს ან ვალტერ-სკოტს. რომანის და პროზის მაგიერ კი საუკუნეთა მანძილზე მარტო ოდენ გმირული შაირობა.

მხოლოდ აქა-იქ ოაზი სიბრძნ სიცრუე დი სიბრძნე ბალავარისა.

ასე მე-XIX საუკუნემდე, როდესაც დადებითმა ცოდნამ, სინამდვილის განსჯის საჭიროებამ, „პირველმა რეფლექსიამ“—მსოფლიოს სევდის სახით აიძულა ქართველი ინტელექტი პირველი ანგარიში მიეცა თავის დროისათვის პლ. იოსელიანის, ამ ქართველ რენანის, გამონატანჯ აზროვნებით.

აქედან „სვინდისის“ და ხალხის სამსახურის პრობლემა სავსებით ამოსწურავს ჩვენ პირველ პროზაიკების დ. ჰონქაძის და ლ. არდაზიანის შემოქმედებას. ესენი ზარით მტირალნი ჰირისუფალნი არიან ქართულ სოფლის და ქალაქის, გლეხის და პირველ „ურბანისტულ“ კულტურის ტიპის—სოლომონ მეჯღანუაშვილის.

ჩვენ თუ პროზის მშვენიერების საზომით მიუდექით ამ ორ მწერალს, ბევრი არაფერი დაგვრჩება ხელში, რადგან მთელი მათი ოსტატობა მიქცეულია სოციალურ მოტივის ბგერაზე და ისიც მეტად მარტივად და სანტიმენტალურადაა მოწყობილი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისინი დუშელ სოფლის პრიმიტივით და ქალაქის მუცლის პირველ გაზმორებით დამწყებნი არიან და, თუ საჭიროა ანალოგიები, შეგვიყვანენ ჟორჟ ზანდის და ბალზაკის სახელებთან.

ბალზაკის კონცეპციის გოლიათური სული უთუოდ ტრიალებდა ილ. ჭავჭავაძის პიროვნებაში. ეს შემომქმედი მეტად ქართულ ბუნების მატარებელი და გამომსახველია თავის ცხოვრების მთელი საქმით და, რაც უძლეველია და სამარადისო, თავის პროზით. მისი „გლახის ნაამბობის“ სტილი დიდი დაძლევაა ქართულ პროზისა. თუ ილიამ, როგორც ბალზაკმა, ვერ „გამოიგონა საუკუნე,“ ვერ შექმა „ადამიანურ კომედიის“ მასშტაბები, მან „გლახის ნაამბობით“ შექმნა იმდენად ტკბილი და დამატყვევებელი ქართული, რომ მას თამამი უფლება აქვს მე-XIX საუკუნის პროზის ბატონებს გაუსწორდეს.

მთელი მისი მხატვრის მიკერძოება უკვე იქიდან სჩანს, რომ მას დაუსრულებელი ვარიაციები აქვს თავის მთავარ ტემის: ახალგაზდა კაცი ბრუნდება უცხოეთიდან სამშობლოში და უნდა შეუდგეს მის სამსახურს.

მეტად სამწუხაროა ილიას უნებლიე სიძუნწე ქართულ პროზაში, თუმცა მთელი მისი მემკვიდრეობა ქართულის უტყუარი ნიმუშია, როგორც ვოლტერის ან ტურგენევის ენა.

ქართულ სინამდვილეში ყოველთვის თანადროულია და არასოდეს არ რჩება მის გარეშე ჩვენი რომანტიულ ბუნების გამო—ნაზი, პროზის რომანტიკოსი ალ. ყაზბეგი, ეს „ერთად ერთი“ წმინდა ქართველი პროზაიკი. თუ პროსპერ მერიმეს მიერ მიცემული კოლორიტი ესპანი-

ის და საფრანგეთის მისალებია და წარმტაცი თავის დასრულებულ მხატვრულ არტისტიზმით, ალ. ყაზბეგის სულის მთავარი ტრიალი და ვნება გაცილებით უფრო ახლოა ჩვენთვის. აქ ხელოვნების ჯადოქარ თვისებით ერთდება ჩვენთვის დონ-ხოზეს და ელგუჯას თავგადასავალი და ყაკერიის გმირები დარიალის ხეობის პერსონაჟებათ ჩაითვლებიან. არ მოიპოება ახალგაზდა ქართველი, რომ სულ სხვა ტრფიალით არ უყვარდეს ყაზბეგი მისდამი სიყვარული—სიხალისის და სიყმაწვილის საზომია: თუ თქვენ აღარ გიყვართ ალ. ყაზბეგი, თქვენ სულს ყაზბეგის სიცივე შეპარვია.

მაგრამ მთის რომანტიკით გარემოცულთ ჩვენ თან და თან უფრო გვარკვევს რაღაც ხმაური, ყიჟინი, კივილი...

ეს დიდი თანამედროვე პერსპექტივებია, ქართული „ურბანიზაცია“.

ეს როდის, ვინ ააშენა ქალაქი, ნავთსადგურები? „დავით სთქვა: იყვნენ ქალაქნი და აღმოცენდნენ ქალაქნი.“ ეს უკვე აღარ არიან—მცხეთა, ჰერეთი, სორაპანი.

ეს უკვე „ინდუსტრიალური სიცხადეა“ („Посторонитесь, ваше преподобие, химия идет“).

სიმპატიით, უმთავრეს ფერადებით, მხატვრის კაპრიზით დავით კლდიაშვილი ტყვეა ჰალიუცინაციით შეპყრობილ იმერეთის სოფლის, მაგრამ უკვე “ალუბლის ბაღის“ მოაგარაკეები ურცხვად დასეირნობენ თავის პანამებით სოლომონის ეზოში და ელიან საღამოს მატარებელს, რომ ქალაქში დაბრუნება მოასწრონ.

მშვიდი, წმინდაფლამანდიური „ნატიურ მორტი“-ა მელანიას „ბნელო.“ თუ გამოვაცლით „მამასახლისს — კნიაზს.“

გარშემო მე-90-იანი წლების მიწურულია—„საზოგადოებრიობის“ შემოღამება და ნაღვლიანი შ. არაგვისპირელის დებიუტი მტკივნეულ ინტელიგენტურ ფსიხოლოგიზმის ოსტატის. თუ საუკუნის არა, ათეულ წლის გამომგონი უთუოთ არის შ. არაგვისპირელი.

მისი ფანტაზია არ გასვენებს, იგი ნეკრასოვის მუზას ენათესავება ამ თვისებით: მუნჯ მხილებად სდგას მოაზროვნე ადამიანის წინ. მისი ენა, სტილიც აღარაა მშვიდი „გამოშიგნული სიტყვა“ ძლია ჭაჭავაძის: იგი როდენის დაჭიმულ და ნალქებიან კუნთებს მოგვაგონებს.

მაგრამ ქართული პროზა დაიწმინდა, მას მიეცა თავისთავადი და მპყრობელი ძალა პირვანდელ ქართულ სიტყვისა, ალბათ, მეტად ასკეტიურისა ყოველთვის; გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. მას თავიდანვე ჰქონდა ეს ჯადოქრობა, მაგრამ უთუოდ შესამჩნევი კვალი მის პროზას დააჩინა „ცისფერ ყანწების“ პოეტურ ლაბორატორიის ანალიტიურმა შემოქმედებამ. იგი რჩება ქართულ პროზის ნაცად ოსტატად.

საერთოდ „ცისფერ ყანწების“ სიტყვის თვითპყრობელობისათვის გაწეულმა ომმა მოგვცა ჩვენ თანამედროვე პროზაიკების მხრივ დიდი შეწირვა სიტყვისათვის. შეუპოვარი რაინდი ქართულ თანამედროვე პროზის, მისი ფერადების დიდ საგანძურის მქონეა უთუოდ ნიკო ლორთქიფანიძე. ტრივიალობის მტერი, იგი თავის შინაარსით თითქოს არაა თანამედროვე ტკივილებით სნეული, მაგრამ სულ ცოტა დაკვირვების შემდეგ მისი სტილი აშკარად დაამოწმებს, რომ მისთვის თანამედროვე ქართულ პროზის მიღწევები სიცოცხლის საკითხია. რა ვქნათ, რომ იგი, როგორც უკანასკნელი შუანი ბარბიე დე ორევილი, თავს დასტრიალებს იმერეთის და სამეგრელოს დეკამერონს. ამით იგი, როგორც საერთოდ თავის პიროვნების ასპექტით ახლოა ანრი დე რენიესთან, რომლის მთავარი ვნებები სავსებით ფრანგულ მე-XVIII საუკუნის კურტუაზიაშია. პოეზიის და პროზის საზღვრების საკითხით, რომელიც აწვალებს, ცისფერ ყანწების“ უმთავრესს მებაირახტრეთ, დაისრულია სანდრო ცირეკაძე. მასში იმდენად მძაფრია ეს გაორება, რომ ჯერ არ ნახულ მხატვრულ ძალთა სიძუნწემდე მიჰყავს ეს სიჩუმის მოციქული ქართულ მწერლობაში. ის ქმნის პატარა შედევრებს რომლებიც ფართხალებენ ორმაგი ყოფნის საზღვრებზე.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როდესაც ხელოვნებაში ხდება უმძაფრესი დაწმენდა გამოხატვის საშუალებათა, როდესაც ხელოვნება განიცდის კონტის სასტიკ კლასიფიკაციას და ვერ იტანს დილეტანტიზმს, მბრძანებლად მოითხოვს მთელს შემოქმედს. დიდი სევდა ეროვნულ დიდ სინტეტიურ რომანისა, რომელიც თან წაიღო ტანჯულმა ესთეტიკოსმა არჩილ ჯორჯაძემ ჩვენ უნდა გავიგოთ, პირველად, როგორც ქართულ ოქროს ლეგენდის შექმნა ჩვენი რენესანსის შინაარსით და მერმე მთელი ხელოვნების განათლებით, როგორც ჩიურლიანისის, კლოდელის და სკრიაბინის სევდა და ტანჯვა ზეკაცურ გარდაქმნისათვის.

**ალი არსენიშვილი.**

# რუსთაველიანა

### პავლე ინგოროყვას მოხსენება შოთა რუსთაველის შესახებ.

3 ივნისს, საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის საჯარო სხდომაზე, პავლე ინგოროყვამ წაიკითხა თავისი ისტორიული ცდა: „შოთა რუსთაველი (ვეფხის-ტყაოსნის თარიღით და პოეტის ვინაობა).

ეს საგანი მომხსენებელს კარგა ხანია რაც გამოკვლეული ჰქონდა, და 1920 წელს მას ვრცელი მოხსენება ჰქონდა ამ საგანზე —ვიწრო ლიტერატურულ წრეში, მოხსენებელის შეხედულებას ამ საგანზე იცნობდენ უკვე 1919—20 წლიდან ქართველი მეცნიერნიც.

პ. ინგოროყვას მოხსენება პირდაპირ ეპოქალური გამოდგა. მოხსენებას მოკლედ გავაცნობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რამდენადაც მოგვცემს ნებას. ვიწრო საგაზეთო ადგილი.

როდის არის დაწერილი პოემა ვეფხის-ტყაოსანი, და ვინ არის პოემის ავტორი, ეს დღემდე პრობლემას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურის ისტორიისათვის. საგნის შესახებ, როგორც ცნობილია არსებობს დიდი ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი დეტალის კითხვა უკვე გამორკვეულია, თითონ პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა; ამაში უთუოდ, წილი უძევს მეთოდოლოგიურ მიდგომასაც საკითხისადმი. პირუთვნელმა კრიტიკამ უნდა აღიაროს, რომ ყველა გამოკვლევებში, რომელნიც არსებობდენ პ. ინგოროყვას ისტორიულ ცდამდე, არის ერთნაირი წინასწარი ლოგიზაცია ისტორიული მოვლენების მაშინ როდესაც თარიღის დადგენის დროს მთავარი არის თითონ პოემის ტექსტის ისტორია და კრიტიკა.

მაგრამ ამის გარდა ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხი ვერ ჩაითვლებოდა საბოლოოდ გადაჭრილად, ვიდრე თითონ პოეტი აღმოჩენილი არ იყო. ვეფხის-ტყაოსანი მიაწერეს სხვა-და-სხვა ეპოქას, ხოლო არც ერთ ეპოქაში თითონ პოეტი არ იქმნა პოვნილი. ვეფხის-ტყაოსნის ავტორი, როგორც ესა სჩანს პოემის შესავალიდან, დიდად დაახლოვებული პირია სამეფო კარის, და თუ მოვიგონებთ, რომ ქართული ანნალები, და სხვა საისტორიო წყაროები ასე დეტალურად ეხება სწორედ სამეფო კარის ცხოვრებას, მაშინ ეს მოვლენა, პოეტის ასე უკვალოდ დაკარგვა პირდაპირ უცნაურია. ეს გარემოება ყოველსავე დასკვნას თითონ პოემის თარიღის შესახებ საეჭვოდ ხდიდა.

პავლე ინგოროყვას ისტორიული ცდა სრულიად ახალს მიღწევას წარმოადგენს ქართულს ისტორიოგრაფიაში როგორც მეთოდოლოგიურად, ისე ფაქტიურის მხრით.

მან დაამტკიცა რომ შესაძლოა როგორც პოემის ნიშანდობლივ დათარიღება ისე პოეტის აღმოჩენა. მოხსენებაში იყო შეხვედრა ერთ ხაზზე ორი სხვა-და-სხვა გზით წარმოებული გამოკვლევის: პოემის ტექსტის ისტორიისა, და ისტორიული დოკუმენტების ანალიზის.

მოხსენება იყოფებოდა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი მოხსენებისა ეხებოდა შემდეგ საგანს: **ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია და პოემის თარიღი.** მოხსენების ამ ნაწილში მან წარმოადგინა, განსაკუთრებულის გონებამახვილობით, არქეოლოგიურ გათხრა პოემის ტექსტისა. მან გააშუქა თუ როგორის თანდათანობით შეივსო პოემის ტექსტი ინტერპოლატებით. ვეფხის-ტყაოსნის მოღწეულ ედებში აღმოჩნდა სულ სამი პლასტი ინტერპოლატიებისა. ბქედან უძველესი ინტერპოლატები, როგორც ეს დოკუმენტალურად დაამტკიცა მომხსენებელმა ეკუთვნის მეცამეტე საუკუნეს და მეთოთხმეტე საუკუნის პირველ წლებს. ერთი ამ უძველეს ინტერპოლატორთაგანი არის „ვინმე მესხი“, რომელსაც შეუვსია რუსთაველის პოემა მთელი ეპიზოდებით. ვინმე მესხი რუსთაველის ნაწარმოების შემავსებელი, სცხოვრობდა მონგოლთა მფლობელობის დროს, 1267-1318 წლებს შუა.

ტექსტის ისტორიის გამორკვევის შემდეგ მომხსენებელმა დასვა საკითხი თითონ პოემის თარიღის შესახებ. ერთად ერთი საფუძველი ამ პრობლემის გადასაჭრელად რასაკვირველია არის მხოლოდ ტექსტის ისტორია და პოემაში დაცული რეალები. სხვა ზოგადი მოსაზრებანი, რომელთაც დღემდე უდგებოდენ ამ კითხვას, რასაკვირველია პრობლემას ვერ გადასჭრიდა. პოემის რეალების მიხედვით მომხსენებელმა დოკუმენტალურად დაამტკიცა, რომ პოემა დაწერილია XII – XIII ს. საზღვარზე, 1199 – 1206 წლებს შუა. ამის საბუთად მომხსენებელმა მოიყვანა ექვსი მთავარი მომენტი: 1) ტექსტის ისტორია; 2) პოემის ლექსიკონი; 3) მეფეთა ხოტბა, რომელსაც შეიცავს პოემის შესავალი და დასასრული-კერძოდ ამ ხოტბის შესახებ გამოირკვა შემდეგი. თუნდაც ეს ხოტბა არ ეკუთვნოდეს ავტორს, იგი შეუძლებელია შეეტანათ პოემაში მ-XIII საუკუნისა და მე-XIV საუკუნის პირველ წლებზე უფრო გვიან. ამნაირად იგი წარმოადგენს ისტორიულ მოწმობას პირველ-ხარისხოვან მნიშვნელობისა, და პოემის დასათარიღებლად ასეთ შემთხვევაშიაც იქნებოდა მისაღები.-ეს რასაკვირველია ისეთ შემთხვევაში თუ ამ ხოტბას შევხედავდით უკიდურესი სკეპსისის თვალსაზრისით. მაგრამ ამასთან მომხსენებელმა პოემის პროლოგისა და ყოველმხრივი ანალიზის მიხედვით ეპილოგის დოკუმენტალურად დაამტკიცა, რომ თუმცა პოემის შესავალსა და დასასრულში არის ჩანართი ადგილები, მაგრამ თითონ მეფეთა ხოტბა უთუოდ თითონ პოემის ავტორის ნაწარმოებია.

გარდა ამ სამი მომენტისა. რომელიც გამომდინარეობს ტექსტის კრიტიკიდან, და რომლებიც იძლევიან ერთსა და იმავე თარიღს, მომხსენებელმა თარიღის გამორკვევის ერთს მხედველობაში მიიღო ... მხატვრული, პოემის ზოგადი მსოფლიო მხედველობა, და ლიტერატურული მოწმობები.

პოემის თარიღის გამორკვევის შემდეგ, მომხსენებელი თავისი მოხსენების მეორე ნაწილში შეეხო პოეტის ვინაობას. მოხსენების ეს ნაწილი წარმოადგენდა ისტორიული ანალიზის შედევრს.

**პოეტი ამის შემდეგ აღმოჩნდა.** რასაკვირველია ისტორიულ დოკუმენტებში პოეტის პიროვნება არ არის მოხსენებული ოქმის სისავსით; ასეთ პირობებში არც ისტორიული ძიება იქნებოდა საჭირო დასაბუთებით დამტკიცებულ იქმნა, რომ ცნობილი ისტორიული მომხსენებელის პირი, ჰერეთის ერისთავი შოთა, რომელიც 1195-1206 წლებს შუა რუსთაველად ყოფილა, არის იგივე შოთა რუსთაველი, ავტორი უკვდავი ქართული პოემის. მომხსენებელმა აღმოაჩინა პოეტის გვარიც. იგი ყოფილა ჰერეთის ბაგრატიონთა შთამომავალი. შესაძლო აღმოჩნდა პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების წლების გამორკვევაც კი როგორც ისტორიული საბუთების სინქრონიზმებიდან ირკვევა იგი დაბადებულა 1168 წელს, გარდაცვლილა 1245 წლის ახლო დროებში შესაძლო აღმოჩნდა მისი ბიოგრაფიის აღდგენა: იგი მიუღიათ პირველად სამეფო კარზე 1191 წელს, 1195 წლის ახლო დროებიდან დაწყებული მთელ თამარის მეფობაში და ყოველ შემთხვევაში 1206 წლამდე იგი ყოფილა რუსთაველი (ჰერეთ-კახეთის რუსთავის მფლობელი); შემდეგ იგი გამხდარა ჰერეთის ერისთავი და სამეფო კარის ვაზირი (ჯერ მსახურთუხუცესი, შემდეგ მეჭურჭლეთ უხუცესი იგი ახლო მონაწილეობის იღებდა სახელმწიფო საქმეებში, და სხვათა შორის იყო ერთი მოთავეთაგანი მონგოლთა საწინააღმდეგო აჯანყებისა, ცნობილი კოხტის თავის შეთქმულებისა; 1243 წლის ახლო იგი გამგზავრებულა იერუსალიმს დასასრულ მისგან მიღწეულა ფაქტიური ძეგლებიც კი: ორი პორტრეტი (—მათ შორის ერთი პოეტის თანამედროვე ბარელიეფი, რომელიც დღემდე დაცულია მანგლისის რაიონში), და პოეტის ფაქსიმილე—ყოველივე ეს ფაქტები მტკიცდება ისეთის ეჭვმიუტანელის საბუთიანობით, და შეიძლება ითქვას მათემატიკურის იდენტურობით, რომ საკვირველი ხდება, როგორ მოხდა რომ ყოველივე ეს დღემდე არ იყო გამორკვეული და დამტკიცებული.

ამ მოკლე ანგარიშში რასაკვირველია შეუძლებელია შევეხოთ ყველა იმ საკითხებს, რომელიც გამორკვეული იყო მოხსენებაში; მოხსენების ყოველი დებულება წარმოადგენდა ან ახალ აღმოჩენას, ან სრულიად ახალ გაშუქებას ვეფხის-ტყაოსნის და შოთას შესახები მასალებისას. აღვნიშნავთ კიდევ მხოლოდ ერთს, რომ მომხსენებლის გამოკვლევის თანახმად ვეფხის-ტყაოსანში წარმოდგენილია მეფე თამარის „შეფარვითი“ შესხმა რასაკვირველია აქ არ არის ისტორიული მოთხრობა, მაგრამ ვეფხის-ტყაოსნის გმირთა „ზნენი და საქმენი“ შეფერობილია თამარის და დავითის პიროვნებასთან. ამას ამხელს პოემის პროლოგი, რომლის დეტალური ანალიზი, წარმოადგინა მომხსენებელმა. მტკიცდება აგრეთვე ისიც, რომ თითონ თანამედროვენი ის უცქერდენ პოემას როგორც თამარის შესხმას. ამას ამას ამტკიცებს სხვათა შორის ჩახრუხაძის ხოტბათა პირველი გამომცემელის, ბარამ არმანის ბოლოსიტყვაობა რომელიც ეკუთვნის მე-XIII საუკუნის დასაწყისს, და რომელიც დართულია ხოტბათა კრებულის ბოლოში.

საზოგადოების თხოვნით მოხსენება საჯაროდ იქმნა განმეორებული სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, პარასკევს 23 ივნისს.

მოხსენების განმეორებასაც საზოგადოება მხურვალე აღტაცებით შეეგება.

## მოხსენება

**პროფ. ივ. ჯავახიშვილის** მოხსენება: „ვეფხვის ტყაოსნის კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“.

ეს მოხსენება ავტორმა წაიკითხა 4 ივნისს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩვეულებრივ კრებაზე, ხელოვანთა სასახლეში.

მოხსენების მთავარი დასკვნანი ასეთი იყო:

პოემის ამბავი არც ქართულია, არც სპარსული, შესაძლოა იგი ძველი მოარული ჰინდური ან არაბული თქმულება ყოფილიყოს, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ეს ამბავი ვეფხის ტყაოსანშია წარმოდგენილი, შეუძლებელია იგი მე-XII-ე საუკუნის ბოლო წლებზე უადრეს დამუშავებულიყოს; მეორე მხრით, ამავე სახით ეს ამბავი შეუძლებელია მე-XIII-ე საუკუნის პირველ ათეულსაც დიდად დავაშოროთ (გეოგრაფიულ-ისტორიული კონცეპცია ამ ამბისა ავტორს თავისი დროისდაკვალობაზე შეუცვლია, რასაკვირველია, უნებლიეთ: სპარსეთის საბადლოდ ხვარეზმი უკვე გაძლიერების გზაზე შემდგარი, მაგრამ არც იმდენად ძლიერი, რომ ხვარაზმშაჰის შვილის მოკვლამ პოემის მთავარ გმირებში რაიმე შიში გამოიწვიოს, და ისინიც ადვილად ასრულებენ ამ მკვლელობას). ერთი სიტყვით პოემა უნდა იყოს დაწერილი დაახლოებით 1194-იდან 1212-მდე, ან უკეთ 1206 წლამდე.

რაც შეეხება პოემის ავტორის პიროვნებას, მომხსენებელმა დაარღვია ნიკო მარის აზრი რუსთველის მაჰმადიანობის შესახებ და დაამტკიცა, რომ პოემის ავტორი ქრისტიანია და მუდამ ქრისტიანი მკითხველები ჰყავს სახეში. მომხსენებელმა თავი შეიკავა პოემის ავტორის თემობრიობის შესახებ რაიმე უდაო აზრის გამოთქმისაგან და საზოგადოდ შენიშნა, რომ ავტორის ბიოგრაფიის დაწერა ჯერჯერობით შეუძლებელიაო.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოემა ისტორია არ არის, მაგრამ ავტორს მაინც მოუხერხებია „შეფრქვევით“ თავისი დროის ისტორიული ამბების პოემაში მხატვრულად ჩაქსოვა და მაშინდელი ქართველი მაღალი წრეების სულისკვეთებათა პოემის ნაქსოვზე გადატანა (რაინდობა, ძმადნაფიცობა, მაღალი შეხედულება ქალის პიროვნებაზე და სხვანი).

# პოეტი საქართველოში.

თუ საქართველოს პოეტების ქვეყანა ერქვა. რამდენი იყო ნამდვილი პოეტი? იყო შაირი, სიმღერა ლექსიც ძვირად, პოეზია ლანდათ გაჩნდებოდა-ხან როგორც ფრინველი-წვრილძვლიანი, ხან ჭაბუკი დერიდა ხოლებში განთიადის ფონზე და უფრო ხშირად ქალი ტრაურში ფერად საფლავზე დაყუდებილი, სუსტი ტირილით, თვალ ამომშრალი საფლავში საქართველო ესვენა და მთელი უკანასკნელი ლიტერატურა ამოიწურა სიტყვებში, „არ მიმკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს“. ბევრი ქართული ლექსი ან პოეტი მიაწევს მეორე საუკუნის ნახევრამდის?, ბარათაშვილის „მერანი“ უკვე დაიღალა ორმოცდა ათი წლის ქენებით, ახლა ის ბებერი, ტყავ გამხმარი, და ფერდებ ჩაცვინილი ჰაკი ცხენია, და ვიღას გააკვირებს? მისი უნაგირი ჩიმჩმა დახრა, და მხედარიც ხერხემალ მოღუნული უკანასკნელ დასვენებას ელის. „ქართვლის დედას“ ძუძუები დაუშრა, ისინი ჰკიდიან გალეურჯებულ გულის ტყავზე როგორც ორი რკინის ლაფათქა, და ბავშვებს ეშინიათ მათი მოფერებაც-კი. საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს, და აღმართ აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწვერვალამდის ვერ მიაღწია მეოთხედ გზაზე სიბერე დაეწია პატიოსან მოგზაურს და ტკბილად დაიძინა მამა დავითზე. მამა დავითი პატარა მთაა შედარებით გიმალაებთან ძლიერი იყო ჯიშიანი ხარი ღრიალი თერგის ხევებში, გრიგოლ ორბელიანის აბლავლება ჯერ კიდევ აზანზარებს ყურებს, ღრმა და ლიდებულია დარიალის ხეობა. მაგრამ იქ ცხოვრება სამუდამოდ მოსაწყენი. ჩვენ საუკუნე შერჩება ბახტრიონის დევი, ...ლის მჭამელი ვაჟა ფშაველა, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გი...გის და დიდხანს აფეთებს თავისი ვე...ლური აბჯარის ხმაურობით, პოეზიი წვრილ ფეხა წუკალებს. ქართველმა ხალხმა არ იცის არც ღრმა ...ვარული არც ღრმა სიძულვილი. პ...რველიც და მეორეც მასში თეა...რალურია, ეს ინტელექტის სისუს...ტის ბრალია: უფრო კი ანალიზი... უქონლობის.

ამიტომ ჩვენში პრობლემა მეტად იშვიათია საზოგადო, პოლიტიკურ და უფრო კი ესთეტიურ სფეროში რელიგია კი ჩვენ საუკუნეებში არასდროს არ ყოფილა საგნად ღრმა გამოკვლევისა. ფილოსოფიაზე ხომ სულმეტია ლაპარაკი. ყველაზე ძვირფასი და ულეველი საკითხი პატარა ერისთვის—ეროვნული თავისუფლების პრინციპები, ჩვენში განვითარდენ „არა საკუთარი, ნაციონალური სტიქიის გამომჟღავნებით, არამედ სხვა პატარა ერების პოლიტიკურ და ნაციონალურ პლატფორმების მიბაძვით. პარიზის ეროვნულ ნიადაგზე შეკავშირებულ ქართველებს „(თავისუფალი საქართველო“ 1904 - 1908 წლებში) არ ჰქონიათ საკუთარი ეროვნული პრობლემა, მათ შეითვისეს დამზადებულ პროგრამა პოლონეთის, ირლანდიის და რუსეთის და სხვა. ნაციონალისტურ და ზომიერ სოციალისტურ პარტიების. მე ვამბობ რომ ჩვენში არ იყო მედგარი ეროვნული სტიქია, ამიტომ არ იყო არც ერთი სერიოზული აჯანყება თუ არ მივიღებთ მხედველობაში თეთრხელა თავადების შეთქმულებას, ყოვლად უნიადაგოს, უმასსოთ, ხუსტს და წუთიერს. მაშინ როდესაც პოლონეთი და ირ-

ლანდია სისხლით დაიცალა ნაციონალურ რევოლიუციაში.

ჩვენში არ არის არც ღრმა სიძულვილი არც ღრმა სიყვარული, აქედან ანალიტური აზრის უქონლობა. მაშასადამე აშკარაა დებულება, რომ საქართველოში კრიტიკა აარ არსებობს დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხათრს.

ყველა ეს ფუქსავატობა საშინელის თავზარით დაატყდა ქართულ ლიტერატურას. მიიყვანა იგი უკანასკნელ დამბლამდის, და კიდევ ბევრი დროა საჭირო რომ გაიკურნოს საუკუნის სენი, უდარდელობა და სიყალბე.

ქართველ პოეტისთვის საამაყოთ დარჩება ის ფაქტი, რომ საუკუნოების განმავლობაში ჩვენში არსებობდა რუსთაველის კულტი. თუნდაც ის ულამაზესი ლეგენდა, რომ საუკეთესო მზითვი საქართველოში ვეფხის ტყაოსანი" იყო. მაგრამ, ეს კულტიც, სამწუხაროდ მაშინ გადაგვარდა, როდესაც პოეზიას ყველაზე უფრო ეჭირებდა პრესტიჟი და სიმაღლე.

სასიხარულოა რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდის დევის ფეხებზე იდგა, მაგრამ განა პოეზიის სისხლით იყო სავსე ეს ფეხები? ილიას უშველა დიდმა ჭკუამ და გრანდიოზულმა ნებამ, არა პოეტის სახელმა მისცა მას ნახევარი საუკუნის დიქტატორობა საქართველოში. მისი კარიერა დასრულდა მითი, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრობა მიიღო, და ჩვენში ხომ პრისტავებიც დიდ პატივისცემაში იყვენ. საგულამო საქართველოს ვეინმარი იქნებოდა, რომ ილია მართლა ნამდვილი ოლიმპიელი ყოფილიყო.

თითქოს აკაკი უყვარდა უსაზღვროთ ქართველ ხალხს. მისი იუბილე ლირონისი დღესასწაულს ჰგავდა, და მისი გასვენება ვიქტორია დედოფალის გასვენებას. მაგრამ მოიგონეთ მისი ცხოვრება, მისი პენსიის ოდისეები ქუჩური დახასიათება მისი „ფუქსავატურ ცხოვრების, მე ვიყავი მოწმე რომ ერთხელ აკაკის ქუთაისის კლუბში რვა ქართველი სამ მანეთს არ ენდო, და რომ ათ მანეთად მას საჩხერიდან ქუთაისში საღამოებზე იწვევდენ. აკაკისავით ვერავინ მოიგებს ქართველ კაცის გულს, მაგრამ ნახეთ რა ფასი აქვს ამ გულის მოგებას.

მაგრამ ყველაზე გულ შემზარავი ბედი იყო ვაჟა-ფშაველასი. ერთმა ჭკვიანმა ქართველმა სთქვა, რომ ახალი აღმოსავლეთი გამართლებულია ვაჟა-ფშაველათი. ვაჟა-ფშაველაზე ძლიერ პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება. მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა, როგორც „ჩხიკვი ზაქრა" თვალ ჩამოხეული, ყველის სუნით გაჟღენთილი, დაკონკილი ჩოხით, ფშალებში მიწა გამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი. უგვირგვინო. ის ჰლექიანი დააკვდა საავდმყოფოს ლოგინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი.

ვერავინ შეება ქართული სიტყვის უღელს ისე, რომ გადაეცილებინა იგი სამშობლოს საზღვრებს, და მიეთრია რომელიმე ევროპის ქალაქის მოედნამდის.

ყველა მიასვენეს მეფურ დიდებით მთათა სასაფლაომდის, დაამშვენეს საფლავები ფერადი ყვავილებით და მუხის ჯვრებით, და ახლა მწარე ბალახა და მოლოქა გადაეფარა მათ საფლავებს. მოხუცი ეკლესიის დარაჯი ჰპატრონობს მათ და მოწყენის დროს მარგლავს ადავიწყებულ საფლავებს.

პარიზში კი კი თითქმის ყოველ დღე ფრანგი მოქალაქე შევა უწმინდეს პანთეონში და ქუდ მოხდილი ამოიოხრებს დიდებულ საფლავების წინ.

თანამედროვე პოეტის ბედი და მომავალი...

(შემდეგი იქნება)

**პაოლო იაშვილი.**

## ხელოვანთა სასახლეში

**პავლე ინგოროყვას მოხსენება.**

სამშაბათს, 4 ივლისს, საღამოს რვა საათზე, ახალი მწერლობის კავშირის სხდომაზე (ხელოვანთა სასახლეში, სერგ. ქ. № 8), პავლე ინგოროყვა წაიკით მოხსენებას **„რად ეწოდება შოთა რუსთაველს მანის ხეფე და კუპარი"**.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დამატებითი ცნობები რუსთველის შესახებ. დასწრება გარეშე საზოგადოებასაც შეუძლია.

— ახლო მომავალში პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას მე-XII-ე საუკუნის პოეტ ჩახრუხას-ძე შესახებ.

## ჩ ი ბ ი ს.

მე მუდამ მახსოვს ძვირფასი ჩიბის,
ლამაზი ძაღლი ქრისტეს თვალებით.
როგორც ქალწული ამირეჯიბის,
ის იყო სავსე იდუმალებით.

ნახა ოდესმე თავის ინფანტა,
ვით ქალბატონი გვირგვინოსანი.
რის მოჩვენება მთლათ გაიფანტა,
დაეპატრონა ჩიბისს მგოსანი.

იწყო ქუჩაში მან ხეტიალი,
რომ კვლავ ენახა ქალის ჩვენება.
მაგრამ ავია ბედის ტრიალი
და ტრამვაების გამოჭენება.

აგონდებოდა თეთრი დიანა,
სარკის უფსკრული. ტყე. ნადირობა.
მაგრამ ასულმა დაიგვიანა.
არ შეასრულა ძველი პირობა.

ლოდინის ცეცხლით იგი იწოდა,
ინფანტასაგან მუდამ ხმობილი.
იყო ქარული და ვინ იცოდა
თუ გადასრესდა ავტომობილი.

აღარ მობძანდა მისი ინფანტა,
როგორც ასული ამირეჯიბის.
სასახლის ნისლი არ გაიფანტა
და ყანწელები გლოვობენ ჩიბისს.

**ვალერიან გაფრინდაშვილი.**

# ბესიკის ავტო ბიოგრაფია აღმოჩნდა

**მასალები ბესიკის ბიოგრაფიისა და კრიტიკული ტექსტისათვის.**

ათი წელი შესრულდა, რაც „კაზმულსიტყვიერების საზოგადოებამ", ჩვენი რედაქციით. ბესიკის ლექსები და პოემები გამოსცა (**ბესიკი.** თბილისი 1912).

რედაქციის განზრახვით, ეს გამოცემა შეძლების-დაგვარად სრული უნდა ყოფილიყო. მართლაც, რამდენადაც ხელნაწერები ნებას იძლეოდა, კრებული საკმაოდ სრული გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, ამ ათი წლის განმავლობაში, პირადად ჩვენ ბესიკის ნაწარმოებთაგან ახალი არარაფერი შეგვხვედრია.

მხოლოდ ამ რამოდენისამე თვის წინეთ, ჩვენმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ ჩემი ყურადღება მიაქცია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთ ხელნაწერს, რომლის უკანასკნელ ფურცელზე მოთავსებულია მეტად საგულისხმო მინაწერი (ავტო-გრაფი) ბესარიონ გაბაშვილისა. ეს ხელნაწერი დღეს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" მუზეუმს ეკუთვნის (№ 1658). ხოლო ხსენებული მინაწერი იმ დროს შეეხება, როცა ბესიკი უკვე იმერეთში იყო გადახიზნული და სოლომონ I „განმაახლებელის" კარზე ფრიად საპატიო დიპლომატიურს როლს თამაშობდა. სახელდობრ მინაწერში მოთხრობილია ბესარიონ გაბაშვილის მოგზაურობა სპარსეთში დიპლომატიური მინდობილობით. სამწუხაროდ მინაწერს ბოლო აკლია და შიგან-და-შიგაც ასოები და სიტყვები წაბღალულია.

ამის და მიუხედავად ეს მინაწერი მაინც ფრიად ძვირფასია, რადგან ის ერთად-ერთი ა ვ ტ ო გ რ ა ფ ი ა, რომელმაც ბესარიონ გაბაშვილისაგან ჩვენამდე მოაღწია. ამის გარდა ეს მინაწერი რამოდენამდე ამართლებს ჩვენს მოსაზრებას, რომელიც ამ ათი წლის წინეთ გამოვთქვით, ბესიკის მართლ-წერის შედარებითი სიმარტივის შესახებ (ის ზემოხსენებ. გამოცემა გვ. XXVII) და თან შეძლებას გვაძლევს შესწორება შევიტანოთ ბესარიონ გაბაშვილის დაბადების თარიღში (იქვე, გვ. VII). აღარას ვამბობთ ამ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ამ მინაწერს აქვს ბესარიონ გაბაშვილის ხსენებული მოგზაურობის მარშრუტის გამოსარკვევად, რის შესახებაც დღემდე ფრიად ღარიბი მასალა მოგვეპოებოდა (იხ. ბროსეს Hist. de la Gèorgie, ნაწ. II, წიგნ. II, გვ. 247).

ამ მოსაზრებათა გამო საჭიროდ დავინახეთ ხსენებული მინაწერის გამოქვეყნება.

როგორც მოგახსენეთ, მინაწერი მოთავსებულია დასახელებული ხელნაწერის უკანასკნელ, მე-637-ე, ფურცელზე, სახელდობრ უჭირავს ამ ფურცლის ქვემო ნაწილის წინა და უკანა გვერდი (ч ც). ხელნაწერში კიდევ ყოფილა შემდეგი ფურცელიც, მაგრამ დაკარგულა და ამიტომ მინაწერის ტექსტი დაუსრულებელი ფრაზით თავდება

მაგრამ აი თვით ტექსტი სრულიად უცვლელად და შეუსწორებლა:

ფურც. 637 „ქ. მე იობის ნათესავი. გაბაონელიძე. ძე მოძღურისა ზაქარია ყ-დ ღირსისა ოდეს ვიყავ წლისა. კႸ. მაშინ ვცხოვრობდი იმერეთს. მახლობელ მყოფი სოლომონ ძლიერისა და განმაახლებელისა მეფისა დავითიანისა. რ-ამას შინა ჟამთა წარვივლოდე ხსენებულისა ამის მეფისაგან ერანად შირაზს ქალაქად. ქარიმხან ზანდისა თანა. და წარსრულმან ავვალე რაჭით . . . მთიანი მყინვარენი. და მივედ ოდიგორს, ოვსეთს. მუნით . . . იაჲ მცირე და განვისვენე მოსდოგს . . . . . . .

ფურც 637 აგვისტო იყო მაშინ. კႸ. ხ- მუნი(sic) ყიზლარად და ყიზლარით ასტარხანს, ათ ცხრამეტ ოდენ დღე მუნ დავდეგ ასტარხნით. შთავჯედ ხვა მალდსა ოლვისა ჭირით და ღელვაგვემულებით ოცდა მეათცხრამეტესა დღესა შინა წლისა მოჩივარი განვედით მამულსა გილანისასა. და მივედით ქალაქსა რომელსა ეწოდების რაშტი მერმეცა წარსრულმან მუნიდალმა მეექვსესა (sic) დღესა შინა ყაზმინ ქალაქსა ორი დღე დავყავ. ყაზმინით მეოთხეს დღეს სავა ქალაქსა ერაყსასა ერთი დღე განვისვენე. და მუნით ყუმს მესამესა დღესა. შთავედით. ქა . . . . . ნს დიდსა და მდიდარსა ქალაქსა. სამ დღე. დამვანებელთა ორ დღე. შემდგო . . . . . მესამე დღესა მივედით. საკვირველსა და ფრიად დიდ შვენიერსა"...

აქ თავდება ეს საყურადღებო ტექსტი, რადგან შემდეგ, როგორც ვთქვით, ერთი ფურცელი ამოხეულია და მისგან დარჩენილია კიდევ ფრიად მცირე ნაშთი, რომლის წინა გვერდზე (ч) იკითხება იმავე ხელით მონაწერი; ქალა.....", რაც ალბად წინა ფურცლის ტექსტის გაგრძელება უნდა ყოფილიყო: „დიდ შვენიერსა ქალაქსა..." და სხვ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, წინამდებარე ტექსტი ბესარიონ გაბაშვილის სადიპლომატიო მოგზაურობის ერთგვარს დღიურს წარმოადგენს და, როგორც ასეთი, ავტორის იგი, უეჭველია, ისეთ წიგნში უნდა ჩაეტანა, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენდა, ან მისი მამის ოჯახისას. შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს ისიც, რომ ეს საბა ორბელიანის ლექსიკონია, სადაც თითქმის ყველა მთავარ სიტყვას სპარსული შესატყვისებიც აქვს მინაწერი. საფიქრებელია, რომ ბესიკს ეს წიგნი თან უნდა ჰქონოდა მოგზაურობის დროს. ამასთან ერთად მართლდება ის ჩვენი მოსაზრებაც, რომ ის „ქართული ლექსიკონი", რომელიც, გარდამოცემით, ბესიკს თითქმის „მთლად ზეპირად სცოდნია" („ძვ. საძართვ." ტ. I. განყ. III, გვ. 45), სწორედ საბა ორბელიანის ლექსიკონი უნდა ყოფილიყო, რადგან იმ დროს სხვა „ქართული ლექსიკონი" არც არსებობდა (იხ. ბესიკი, გვ. 227. სხოლიო).

როგორც ზევით შევნიშნეთ, მართლდება ის მოსაზრებაც. რომ ბესიკის ორთოგრაფია საკმაოდ მარტივი და თავისუფალი ყოფილა ანტონ კათალიკოზის ხაგრამატიკო სკოლის რთული ნორმებისაგან. როგორც სპეციალისტი შენიშნავს, მინაწერის ტექსტში ეგრეთ-წოდებულ ზედმეტ ასოთაგან იხმარება მხოლოდ: ჴ, Ⴘ, მაგრამ ეს უკანასკნელიც მხოლოდ სათვალავში და არა სიტყვებში; განდევნილია ჳ-ასო, ხოლო საკუთრივ ანტონის სკოლის დამახასიათებელი უ-(უბჯგუ)-ასო და უႸ (ვე-მარცვლის საბადლოდ) არცერთჯერ არა გვხვდება, თუმცა მინაწერის ტექსტში სათანადო შემთხვევა არა ერთი და ორია, როგორც მაგალითად „მოძღურისა", „მეექვსესა" და სხვანი. ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას და მას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს, როცა ბესიკის ნაწარმოებთა ტექსტი კრიტიკულად იქნება გამოცემული. (იხ ჩვენი გამოცემა, გვ. XXVII—VIII).

ამავე მინაწერში მოიპოვება სათარიღო ცნობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შესწორება შევიტანოთ ბესიკის დაბადების თარიღში. ამ ცნობის მიხედვით, ბესარიონ გაბაშვილი 28 წლისა („ვიყავ წლისა. ჳც") ყოფილა, როცა სოლომონ მეფეს სპარსეთში წარუვლენია. ხოლო, როგორც ვიცით, ეს დესპანობა ეკუთვნის 1779 წელს (იხ. ზემოთ). მაშასადამე ბესიკი დაბადებულა 1751 წელს, და არა 1750 წელს, როგორც წინეთ ვფიქრობდით (ბესიკი, გვ. VII). და ეს შესწორება სავსებით ედასტურება მგოხნის საფლავის ქვის წარწერას (იასაში), საიდანაც ვტყობილობთ, რომ გარდაცვალების ჟამს ბესიკი 40 წლისა („წლისა მ" ყოფილა (იქვე გვ. XIV).

ამით ვათავებ ჩემ შენიშვნებს ხსენებული მინაწერის შესახებ და დასარულ მადლობას მოვახსენებ პატივცემულს გ. ლეონიძეს, რომელმაც ამ მინაწერზე მიმითითა.

**ს. გორგაძე.**

1922, VI, 28.

# ქრონიკა

**ტეხნიკური მიზეზების გამო ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში ვერ მოთავსდა საჭირო ინფორმაციული მასალა.**

**ნიკო ფიროსმანი** პოეტი ტიციან ტაბიძე ამზადებს დიდ მონოგრაფიას ნიკო ფიროსმანზე. წიგნში მოთავსებული იქნება რეპროდუქციები ყველა იმ სურათების, რომლებიც დაგროვილია თბილისში. წიგნი განზრახულია გამოვიდეს ფრანგულ ენაზედაც.

**რუსთაველი.** პავლე ინგოროყვას ახალი გამოკვლევა რუსთაველზე დასაბეჭდად მიცემულია, სახელმწიფო გამგეობაში.

**გრიგოლ რობაქიძის წიგნები.** გრიგოლ რობაქიძემ დაამზადა დასაბეჭდათ ცხრა ტომი თავის ნაწერების, გამოქვეყნებულ ნაწერების გარდა ამ ციკლში შედის მისტერია „ჯვარი ვაზისა" და ქართული პრობლემა: წმინდა ნინო გრიგოლ მერჩული, შოთა რუსთაველი. თამარი, გიორგი სააკაძე, ვაჟა ფშაველა ფიროსმანი.

**ვიაჩესლავ ივანოვი თბილისში.** გრიგოლ რობაქიძემ ბაქოდან მიიღო წერილი ვიაჩესლავ ივანოვისაგან. როგორც წერილიდან სჩანს, პოეტი დიდი ხანია აპირობს თბილისში ჩამოსვლას და მხოლოდ უნივერსიტეტის საქმეებმა დღემდის ვერ მისცეს შეძლება თბილისში ჩამოსვლის. ივლისის პირველ რიცხვებში ვიაჩესლავ ივანოვი თბილისში იქნება, სადაც გაიმართება მისი საღამო და წაკითხულ იქნება მთელი მისი მოხსენებების

**ხელოვანთა სასახლე.** მთავარ კომიტეტმა დაავალა ტიციან ტაბიძეს, შეადგინოს წიგნი „ხელოვანთა სასახლე" წიგნი მოთავსებული იქნება ანგარიშები ხელოვანთა სასახლეში წარმოებულ მუშაობისა. საერთოდ წიგნი წარმოადგენს მთელ ქართულ ხელოვნების უკანასკნელ წლის ანნალებს. წიგნი იქნება დასურათებული.

**სობინოვი და გელცერი თბილისში.** მკათათვის შუა რიცხვებში რუსთაველის თეატრში განზრახულია გელცერისა და სობინოვის საღამო.

**ბლიუმენტალ ტამარინი.** თბილისში ამ ჟამად მიდის გასტროლები ბლიუმენტალ ტამარინის.

**დავით კლდიაშვილის იუბილე ბათუმში.** ბათუმში დიდი ზეიმით გადაიხადეს დავით კლდიაშვილის იუბილე.

**შიო არაგვისპირელის წიგნი.** იბეჭდება შიო არაგვისპირელის ნაწერების მეექვსე ტომი.

**ზაქარია ჭიჭინაძე პროვინციაში.** ზ. ჭიჭინაძე გაემგზავრა პროვინციაში განზრახულია მისი იუბილეების მოწყობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაბა ქალაქებში. ზაქარიას თან ახლავს ცნობილი მწერალი ი. ეკალაძე.

**არქეოლოგიური ექსპედიცია ნინოწმინდაში.** გასულ კვირას არქეოლოგიური კომისია გ. ჩუბინიშვილის, დ. მელიქსეთბეგის და სხ. გაემგზავრა ივრის ხეობაში კერძოდ ნინოწმინდის ტაძარის (VI საუკ). დასათვალიერებლად. ექსპედიციამ ნინოწმინდაში დაჰყო სამუშაოდ სრული ხუთი დღე. მოკლე ხანში ექსპედიციის მუშაობის შესახებ ერთ ერთი წევრი მოხსენებას წაიკითხავს

**სურათების გამოფენა ბათუმში.** მოკლე ხანში ბათუმში გაიმართება სურათების გამოფენა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ: შარლემან, თოიძე მოსე, გოცირიძე, გამრეკელი, შმერლინგი მამალაძე, ახვლედიანი, აგრეთვე წარმოდგენილი იქნება საზღვარგარედ მყოფ მხატვრების ლადო გუდიაშვილის და ზალცმანის სურათები.

**ს. აბაშელის წიგნები.** პოეტი ს. აბაშელი სცემს მეორე წიგნს თავის ლექსების და წიგნს კრიტიკულ პროზას.

**ახალი პოეზიის ანტოლოგია** პოეტი გიორგი ლეონიძე სცემს ახალი პოეზიის ანტოლოგიას.

**პოეტების ტურნე** „ცისფერ ყანწელების,, პოეტები ამ ზაფხულს აპირებენ ტურნეს მთელ საქართველოში.

**მხატვარი ვერა ლებედევას გამოფენა.** გასულ მაისში ტფილისში გაიმართა მხატვარი ქალის ვერა ლებედევას სამხატვრო გამოფენა. ეს გამოფენა თითქმის ერთად ერთი იყო ამ სეზონში. ლებედევას ქალი უთუოდ დიდი ნიჭის მხატვარია, განსაკუთრებით როგორც გრაფიკი. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მას ტოლი არ ჰყავს მთელი რუსეთში, მიუხედავად იმისა რომ ლებედევა ჯერ სულ ახალგაზრდაა. სხვა მისი ნახატები შესრულებულია ოსტატურათ და ტფილისში დიდ ინტერესს იწვევ პორტრეტებში ასანიშნავია მელიტა ჩოლოყაშვილის (ზელენსკაიას) პორტრეტი შესრულებული პერგამენტზე და პორტრეტები პოეტების: ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, და შალვა აფხაიძის. ლებედევას ქალს განზრახული აქვს ვალტონის მასკებით დახატოს ახალი ქართული პოეზია.

რედაქტორი:
**გიორგი ლეონიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი მომგებიანი ლატარია

## საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ

## სცადეთ თქვენი ბედი დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი



## აღმოსავლეთის სავაჭრო სინდიკატი

საქციონერო საზოგადოება

SINDICATO ORIENTALE DI COMMERCIO SOCIETA ANONIMA

გამგეობა რომში

განყოფილებები მსოფლიოს ყველა მსხვილ ცენტრში

## ექსპორტ—იმპორტი

განყოფილებანი: ტფილისში. სასახლის, 3.
ბათუმში, მარინის, 31.



## საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის სადგილმამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ რეკვიზიცია სახლების გაგრძელებულია ა. წ. 15 ივლისამდე სხვა და სხვა მიზეზებით

საადგილმამულო განყოფილება.



ბაზარზე საქონლის დაიაფების მიზნით

საქართველოს სახალხო მომარაგების კომისარიატის მიერ.

17 თიბათვიდან **გაიხსნა** თბილისში სასახლის ქ. ყოფ. ჟირარდოვის სადგომში

## მაღაზია

**მანუფაქტურის, გალანტერიის, ჭურჭელის და ფეხსაცმელის განყოფილებებით**

და

საერთო ხმარების ნივთების

## საქონელი ეძლევა ყველას

პროფკავშირების წევრებს შეღავათი 10 პროც. თუ წარმოადგენენ საწევრო წიგნაკს.

**ვაჭრობა 9—5 საათამდე.**

## ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

აწარმოებს დამოუკიდებელ კომერციულს, სავაჭრო და სამეურნეო ოპერაციებს, როგორც: **სყიდვას და გაყიდვას** ყოველგვარი ნედლი მასალის და ყოველივე მოსახმარ საქონლისას. ასრულებს **მინდობილობის** სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, აგრეთვე კერძო ფირმების და პირების.

ექსპედიციას, ტრანსპორტს ყოველგვარ საქონლისა, როგორც შინაგან ისე ალაგობრივ ბაზრებზე ასევე საზღვარ გარედ. **ექსპორტი და რეალიზაცია** საზღვარ გარედ ყოველნაირ ნედლი მასალის. **იმპორტი** პირველ საჭიროების საგნების. **საქონლის გაცვლა სესხი** საქონლის დაგირავებით (ექსპორტი, რეალიზაცია) უცხო ვალიუტით.

საქონლის შესანახად **სავაჭრო განყოფილების** განკარგულებაში, მოწყობილია ფართე და საუკეთესო **სავაჭრო საწყობები.**

აქვს რა დიდი მატერიალური რესსურსები და ჰყავს რა უმაღლეს ადმინისტრაციის შემადგენლობაში თანამშრომლებად მრავალწლოვანი კომერციული პრაქტიკის მქონე პირები, კონტორების და სააგენტოების ქსელის გაბმით **სავაჭრო განყოფილებას** შეძლება აქვს შეასრულოს ყველა ზემოხსენებული ოპერაციები მაქსიმალი **სისწრაფით, ზედმიწევნით** და თვის კლიენტების **სახეიროდ.**

**ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის** განყოფილებანი უკვე გახსნილია **კავკასიაში—თბილისში** (მთავარი კონტორა), **ბათუმში, ბაქოში, სუხუმში. განჯაში, ერევანში და სპარსეთში—ენზელში.**

სულ მოკლე ხანში იხსნება კონტორები: **დონის როსტოვს, მოსკოვს, თავრიზსა და კონსტანტინოპოლში.**

## საქართველოს ს. ს. რ.

## მომარაგების საბჭო ს. მ. ჯ. ს.

მმართველობა: ტფილისი, შტაბის ქ. № 2. ტელ. 9–24, 3–03.

### გახსნილია მაღაზიები:

ელექტრო-ტეხნიკური,
მანუფაქტურის,
სასოფლო სამეურნეო,
ავეჯეულობის,

ტყავეულობის,
თუთუნის,
ქაღალდის,
პარფიუმერის,
მინერალურ წყლის.

სასახლის ქ. № 2 — **უნივერსალური მაღაზია** — სასახლის ქ. № 2

ჩრდ. კავკასია ტ. კუდალაშვილი. სპარსეთი ტ.-ასატუროვი—თეირანი. თურქესტანი ა. ჯაფარიძე და გ. მაისაშვილი—ქ. ტაშკენტი. საქართველოში: ბათუმი ვ. ბერიძე—სოვკოსის. ქუთაისი—ცენტრ საწყობი.

სარაიონო წარმომადგენლები და კანტორები მამარაგების საბჭოსი ახდენენ ყოველ გვარ სავაჭრო ოპერაციას.

## ვაჭრობა

### ბორჯომის წყალი და ნარზანი

ბოთლებით და ჭიქებით

სასახლის ქუჩა № 2.

## გახსნილია პირველი

### სახელმწიფო ყინულის დამამზადებელი ქარხანა

## ს. ს. უ. ს. მომარაგების საბჭოსი

(პუშკინის და ლორის-მელიქოვის კუთხე, ყოფილ სემინარიის შენობა)

### ყინულის სყიდვა ყველას შეუძლიან დაკლებულ ფასებში



## განცხადება

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო ამით აცნობებს მგზავრებს, რომ 1922 წლის 25 ივნისიდან შემოღებულია სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ახალი ნუსხა შემდეგი სახით:

**თბილისიდან გადის მატარებლები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო მატ. | № 10 | მიდის | თბილისიდგან | ბათუმში დილის 6 ს. და 30 ხუთშაბ. |
| ჩქარი მატარ. | № 6 | „ | „ | „ დღის 2 ს. 00 წ. ორშაბ. |
| სამგზავრო მატ. | № 20 | „ | „ | ბორჯომში დღის 3 ს. 35 წ. ყოვ. დღე |
| ჩქარი მატარ. | № 2 | „ | „ | ბათუმში საღამ. 6 ს. 15 წ. ორშაბ. |
| საფოსტო მატ. | № 4 | „ | „ | „ საღამ. 7 ს. 30 წ. ყოვ. დღე |
| საქ. სამგზ. მატ. | № 22 | „ | „ | „ საღამ. 11 ს. 15 წ. „ |
| საფოსტო მატ. | № 3-4 კახ. | | „ | თელავში დილის 8 ს. 25 წ. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით (ივლისიდან კენტ რიცხვებ.) |
| საფოსტო მატ. | № 3 | „ | „ | ერევანში დღის 1 ს. 00 წ. კენტ რიცხ. |
| სამგზავრო მატ. | № 9 | „ | „ | როსტოვ. ღამის 1 ს. 40 წ. ორშაბათ. |
| საფოსტო მატ. | № 3 | „ | „ | „ დილ. 9 ს. 00 წ. ლუწ. რიცხ. |
| სამგზავრო მატ. | № 7 | „ | „ | ბაქოში დილ. 9 ს. 00 წ. კენტ რიცხ. |
| ჩქარი მატარებ. | № 1 | „ | „ | „ დილ. 11 ს. 00 წ. პარასკევბ. |
| „ მატარებ. | № 5 | „ | „ | მოსკოვ. დღის 2 ს. 45 წ. შაბათობ. |
| საბარგო სამგზ. | № 21 | „ | „ | ბაქოში საღამ. 8 ს. 15 წ. სამ. და შაბ. |
| „ „ | № 25 | „ | „ | ერევან. საღამ. 10 ს. 00 წ. ლუწ რიც. |
| „ „ | № 21-22 კახ. | | „ | თელავში დილ. 8 ს. 25 წ. ლუწ. რიც. (შემოღებული იქნება ამა წლის 1 ივლისიდან). |

**თბილისში მოდის მატარებლები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბ.-სამგზ. მატ. | № 21 | მოდის | თბილისში | ბათომიდან დილ. 5 ს. 30 წ. ყოვ. დღე |
| ჩქარი მატარებ. | № 1 | „ | „ | „ დილ. 7 ს. 20 წ. პარასკ. |
| სამგზავრო მატ. | № 19 | „ | „ | ბორჯომ. დილ. 8 ს. 35 წ. ყოვ. დღე |
| საფოსტო მატ. | № 3 | „ | „ | ბათომიდან დილ. 10 ს. 00 წ. „ |
| ჩქარი მატარებ. | № 5 | „ | „ | „ დღის 1 ს. 30 წ. შაბათ. |
| სამგზავრო მატ. | № 9 | „ | „ | „ ღამის 12 ს. 15 წ. ორშაბ. |
| „ | № 10 | „ | „ | როსტოვ. დილ. 4 ს. 45 წ. ხუთშ. |
| საფოსტო მატ. | № 4 | „ | „ | ერევნიდან დილ. 6 ს. 00 წ. ლუწ რიც |
| საბარგო საგზ. | № 26 | „ | „ | „ დილ. 9 ს. 30 წ. კენტ რიც |
| ჩქარი მატარებ. | № 6 | „ | „ | მოსკოვიდ დილ. 11 ს. 45 წ. ორშაბათ |
| საბარგო სამგზ. | № 22 | „ | „ | ბაქოდან დღის 2 ს. 15 წ. ხუთ. კვირ |
| საფოსტო მატ. | № 4-3 კახ. | | „ | თელავიდან საღ. 8 ს. 40 წ. ოთხშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით (1 ივლისიდგან ლუწ რიცხვებში). |
| „ | № 4 | „ | „ | როსტოვიდ. საღ. 9 ს. 25 წ. ლუწ რიც. |
| „ | № 8 | „ | „ | ბაქოდან საღამ. 9 ს. 25 წ. კენტ რიც. |
| საბარგო საგზ. | № 23-21 კახ. | | „ | თელავიდ. საღ. 8 ს. 40 წ. კენტ რიც. (შემოღებული იქნება ამა წლის 1-ლ ივლისიდან). |
| ჩქარი მატარებ. | № 2 | „ | „ | ბაქოდან დღის 3 ს. 20 წ. ორშაბათ. |

ნება დართ. სამხ. ცენ. 3000. სტამბა სამხედრო სამინისტროსი